ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. XX
თბილისი. 2024

რეცენზია

მიხეილ ქართველიშვილი
ასისტენტ პროფესორი, თსუ

ქართული ისლამმცოდნეობის საინტერესო შენაძენი (ხათუნა ბაინდურაშვილი. ისლამი თბილისში (VIII-XVIII სს.). თბ. 2023)

2021 წელს ქართულ საისტორიო და საკითხით დაინტერესებულმა ფართო საზოგადოებამ შესანიშნავი საჩუქარი მიიღო. ისტორიის მეცნიერებათა დოქტორ, პროფესორ ნანი გელოვანის ავტორობით გამოიცა ფუნამდენტური გამოკვლევა „თბილისის მუსლიმური თემი (1801-1917)“ წიგნმა მალევე მოიპოვა აღიარება როგორც დარგის სპეციალისტებში, ასევე მკითხველებში, რის დაგვირგვინებასაც წარმოადგენს მისი ირანის ისლამური რესპუბლიკის წლის წიგნის საერთაშორისო პრემიით დაჯილდოვება.

საქართველოს დედაქალაქ – თბილისში ისლამის გავრცელების ძირითადი ტენდენციების გაანალიზების ორიგინალურ და საინტერესო მცდელობს წარმოადგენს ისტორიის დოქტორ ხათუნა ბაინდურაშვილი მონოგრაფია „ისლამი თბილისში (VIII-XVIII სს.)“. წიგნი გამოიცა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით (გრანტის ნომერი: SP-22-1050).

ნაშრომის შესავალში განხილულია წიგნის ძირითადი სტრუქტურა და შინაარსი, წყაროთმცოდნეობითი და ისტორიოგრაფიული განხილვა, რის ფონზეც საინტერესოდ არის ნაჩვენები ისტორიის დოქტორ ხათუნა ბაინდურაშვილის სამეცნიერო სიახლეები. აქ მნიშვნელოვანია ის გარემოება რომ ავტორს სამეცნიერო მიმოქცევაში შემოაქვს ერთის მხრივ ახალი წყაროები, მეორეს მხრივ კი იგი ახლებურად აანალიზებს ჩვენ სამეცნიერო სივრცეშეი უკვე ცნობილ საისტორიო მასალებს.

მონოგრაფია სამი თავის და შესაბამისი პარაგრაფებისგან შედგება, ნაშრომის სტრუქტურა მკაფიო, თანმიმდევრული და საინტერესოა.

ავტორს ჩატარებული აქვს საინტერესო და მნიშვნელოვანი დარგთაშორისი კვლევა, სადაც კარგად ჩანს მისი ცოდნა საკუთრივ ისტორიას, იდეოლოგიას, ისლამურ თეოლოგიას, სამართალს და სოციალურ-ეკონომიკურ საკითხებთან დაკავშირებით.

ნაშრომის პირველ თავში „სუნიტური ისლამი თბილისში (VIII-XVIII სს)“ განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ქართველებისა და არაბების ურთიერთობის საწყის პერიოდს, სუნიტურ მაზჰაბებს თბილისის საამიროში, დიდი ქართველი მეფის – დავით აღმაშენებლის ისლამურ პოლიტიკას, მის მიზეზებსა და შედეგებს, თბილისში სუფიზმი გავრცელების ძირითად მიმართულებებსა და ტენდენციებს, ჯალალ ად-დინის მიერ თბილისის აღება და სუნიზმის გავრცელება, ამავე თავში საუბარია საქართველოში თემურ ლენგის ლაშქრობებსა და მის რელიგიურ პოლიტიკაზე.

მეორე თავში – „შიიტური ისლამი თბილისში (VIII-XVIII სს)“ საუბარია შიიზმის თანადათობით გავრცელებაზე, მის მახასიათებლებზე და გამოვლინებებზე საუკენეების მანძილზე. მათ შორის ისმაილიტების სექტაზე, ქართულ-სპარსულ ისტორიული დოკუმენტების სარწმუნოებრივ, პოლიტიკურ და სოციალურ საკითხებზე.

ნაშრომის ბოლო, მესამე თავში საუბარია ქართველების იდეოლოგიურ დაპირისპირებასთან მუსლიმებთან. ისლამთან“, წარმოდგენილია შუა საუკუნეების საქართველოში ისლამთან იდეოლოგიური დაპირისპირების კომპლექსური კვლევა. საკითხის შესწავლისათვის გაანალიზებულია თვალსაზრისით შესწავლილია ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლები („დავით და კონსტანტინეს წამება“, „არჩილის წამება“, „აბო ტფილელის წამება“, „კოსტანტი-კახაჲს წამება“, „გობრონის წამება“), ქართული სიტყვისგებების („Წსენება სიტყᲣსგებისაჲ“ და „ჰამბავი მაჰხმედისი თარგმანსა შინა ფსალმუნთასა მოყუანილი ...“) და ქართველი პოლემისტის, ბაგრატ მუხრანბატონის („მოთხრობა სᲯულთა უღმრთოთა თათრისათა“) და ტიმოთე გაბაშვილის ანტიმუსლიმური („აგარიანთათვის“) ნაშრომები; მათი ურთიერმიმართება საინტერსო სურათს გვიხატავს საკითხის შესავლისის

გამოცემული მონოგრაფიის სერიოზულ დადებით მომენტად გვევლინება ის ფაქტიც, რომ იგი უხვად არის ილუსტრირებული, მათი უმრავლესობა კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრის საცავებშია დაცული და მკითთხველებს შესაძლებლობა მას წიგნის მეშვეობით გაეცნონ.

მონოგრაფიაში საინტერესოდ არის შესწავლილი თბილისში მუსლიმური თემის ისტორიის მრავალი მიმართულება. ნაშრომი ეყრდნობა საკითხის ირგვლივ არსებულ პირველწყაროებსა და სათანადო სამეცნიერო ლიტერატურას. წიგნი განკუთვნილია აღმოსავლეთმცოდნე ისტორიკოსების, სტუდენტებისა და აღნიშნული საკითხით დაინტერესებული მკითხველისთვის, მკვლევარებისა და საზოგადოების ფართო წრისათვის